საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №113/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2020 წლის 6 ოქტომბრის №113 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 2 დეკემბრის №113/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

1.1. საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლე -- -- თვითნებურად იღებდა გადაწყვეტილებებს, მხარეებს არ აძლევდა უფლებას ესარგებლათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის დანაწესით და გამოეთქვათ მოსაზრება შემდეგ შუამდგომლობებთან დაკავშირებით:

ა) არასრულწლოვნის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე;
ბ) სხვა მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებით;
გ) კონკრეტული მტკიცებულებების დართვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე;
დ) ვიდეო კამერების ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე.

1.2. მოსამართლემ მხარის შუამდგომლობის არ არსებობის პირობებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით დახურა სხდომა. მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხებოდა არასრულწლოვნის დაკითხვას, შესაბამისად მოსამართლე -- -- სხდომა დახურა კანონის დარღვევით, რადგან მას არ ჰქონდა მხარის შუამდგომლობის გარეშე სხდომის დახურვის უფლებამოსილება. ამასთან, მოსამართლე -- -- დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მულის მე-2 ნაწილის დანაწესი, როდესაც დახურულ სხდომაზე არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს დაკითხვა აწარმოა მხარეთა დასწრების გარეშე. მოსამართლემ ასევე, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლი არასრულწლოვნის დაკითხვის დროს. აღნიშნულის შემდეგ კი არ მისცა მხარეებს მოწმისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა. მოსამართლემ ასევე არ მისცა საშუალება მხარეებს გაცნობოდნენ არასრულწლოვნის დაკითხვის სხდომის ოქმს. მხარეებს არ გადასცემიათ არასრულწლოვნის გამოკითხვის წერილობითი დოკუმენტი და შესაბამისად, მისი გაცნობის შესაძლებლობაც არ ჰქონიათ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 22 სექტემბერს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- სამმართველოს მიმართ და მოითხოვა შსს -- -- სამმართველოს გამომძიებლის -- -- მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს გამოცემული შემაკავებელი ორდერის (ოქმი №--) ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 22 სექტემბრის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა -- --.

საქმეზე სხდომა გაიმართა 2020 წლის 25 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა არასრულწლოვნის დაკითხვის, ხოლო მოპასუხის შუამდგომლობა -- -- და -- -- დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილდა. არასრულწლოვანი მოწმე დაიკითხა დახურულ სასამართლო სხდომაზე, რის თაობაზეც მხარეებს სხდომის დახურვამდე ეცნობათ და განემარტათ დახურვის საფუძვლები. სხდომის დახურვამდე მესამე პირის -- -- წარმომადგენელმა -- -- (საჩივრის ავტორი) მოსამართლეს მიმართა თხოვნით, რომ მოწმის დაკითხვის დროს მისთვის აეხსნათ, რომ არავინ ამ სასამართლო პროცესის შემდეგ მოსარჩელეს, არასრულწლოვნის მამას, არ დაიჭერდა. აღნიშნულ სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენელს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი სადავოდ არ გაუხდია. არასრულწლოვნის დაკითხვის შემდეგ მოსამართლემ დაკითხა მოპასუხის მოწმეები -- -- და -- --.

საქმეზე სხდომა გაიმართა 2020 წლის 29 სექტემბერს სხდომაზე მოსამართლემ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები, მოისმინა ახსნა-განმარტებები.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა შსს -- -- სამმართველოს გამომძიებლის -- -- მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს გამოცემული №-- შემაკავებელი ორდერი.

-- -- სასამართლოს სხდომის ოქმების გადაცემის მოთხოვნით -- -- წარმომადგენელმა მიმართა 2020 წლის 30 სექტემბერს, ხოლო საქმის მასალების გაცნობის თაობაზე შუამდგომლობით საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა 1 ოქტომბერს.

მესამე პირის -- -- წარმომადგენელს -- -- სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის, 29 სექტემბრისა და 30 სექტემბრის სხდომის ოქმები ჩაბარდა ხელწერილით, რომელზეც გაკეთებული შენიშვნის თანახმად მას არ ჩაჰბარებია დახურული სხდომის ოქმის ასლი. 2020 წლის 2 ოქტომბერს მხარის მიერ გაკეთებული ხელწერილის თანახმად, სასურველი მასალების ასლები გადაიღო, თუმცა არ გაცნობია 177-178-ე გვერდებს შორის არსებულ დახურული სხდომის ჩანაწერს, ვინაიდან არ მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა აღნიშნულ ოქმს და მოთხოვნის მიუხედავად გადაეღო ასლი.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2020 წლის 5 ოქტომბერს. -- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დასკვნის მომზადების ეტაპისათვის არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 2 დეკემბრის დასკვნა:

-- --, -- -- და -- -- 2020 წლის 6 ოქტომბრის №113 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

4.1. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის უთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები, არ მისცა მხარეებს შესაძლებლობა ესარგებლათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის დანაწესით და გამოეთქვათ მოსაზრება შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დებულებებზე, რომლებიც უშუალოდ შუამდგომლობის განხილვას შეეხება, რადგან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ის საკითხები, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის დარეგულირებული განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2020 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა არასრულწლოვნის დაკითხვის, ხოლო მოპასუხის შუამდგომლობა -- -- და -- -- დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილდა. არასრულწლოვანი მოწმე დაიკითხა დახურულ სასამართლო სხდომაზე, რის თაობაზეც მხარეებს სხდომის დახურვამდე ეცნობათ და განემარტათ დახურვის საფუძვლები. სხდომის დახურვამდე მესამე პირის -- -- წარმომადგენელმა -- -- (საჩივრის ავტორი) მოსამართლეს მიმართა თხოვნით, რომ მოწმის დაკითხვის დროს მისთვის აეხსნათ, რომ არავინ ამ სასამართლო პროცესის შემდეგ მოსარჩელეს, არასრულწლოვნის მამას, არ დაიჭერდა. აღნიშნულ სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენელს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი სადავოდ არ გაუხდია. არასრულწლოვნის დაკითხვის შემდეგ მოსამართლემ დაკითხა მოპასუხის მოწმეები -- -- და -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 25 სექტემბრის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა მესამე პირის წარმომადგენლის შუამდგომლობა, მოწმის სახით -- -- და -- -- დაკითხვის თაობაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ მოსაზრება შუამდგომლობებთან დაკავშირებით და მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმადაც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

მოსამართლის მიერ შეუფერებელი ქცევაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს შემდეგი გარემოებები - მოსამართლის ამგვარი ქცევა საფრთხეს ხომ არ უქმნის მოსამართლეთა ავტორიტეტს; არსებითად ხომ არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; არსებითად ხომ არ არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს; ზიანს ხომ არ აყენებს საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ; ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს სასამართლოს მიერ მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაზე, ისევე როგორც სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებზე, რომლის მე-3 ღირებულების თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. სასამართლოში და სასამართლოს გარეთ მოსამართლემ უნდა დაიცვას და განავითაროს ქცევის ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს სასამართლოს რეპუტაციის დაცვას და მოსამართლის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

მოცემულ საქმესთან მიმართებით მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. აღნიშნულ პირებს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლიათ მისცენ მოწმეს შეკითხვები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან

შეიძლება რომელიმე მხარის გაყვანა. სხდომის დარბაზში ამ მხარის დაბრუნების შემდეგ მას უნდა ეცნობოს არასრულწლოვანი მოწმის ჩვენება და მიეცეს შესაძლებლობა დაუსვას მოწმეს შეკითხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავი განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ ან შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს დაუშვებელია ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამო-კითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) თანდასწრებით. ასევე დაუშვებელია არასრულწლოვნის დაკითხვაზე (გამოკითხვაზე) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება, თუ მის (მათ) მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა. ამავე კოდექსის 21[14] მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლი საკითხს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლისაგან განსხვავებულად არეგულირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების განხილვასთან მიმართებით ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რა დროსაც სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განახორციელოს ყველა ქმედება. მშობლებს შორის კონფლიქტური ვითარების არსებობას არასრულწლოვანი შვილები განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვამენ, შესაბამისად, მსგავსი საკითხის განხილვის დროს სასამართლო და საქმეში ჩართული ყველა პირი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ არასრულწლოვანი მოწმე დაიკითხა დახურულ სასამართლო სხდომაზე, რის თაობაზეც მხარეებს სხდომის დახურვამდე ეცნობათ და განემარტათ დახურვის საფუძვლები. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე უფლებამოსილი იყო -- -- მოწმის სახით დაეკითხა დახურულ სხდომაზე. შესაბამისად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

რაც შეეხება მითითებას, რომ მოწმე დაიკითხა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, უნდა აღინიშნოს, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოწვევის/არ მოწვევის საკითხი საოქმო განჩინებით არ გადაწყვეტილა, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხს არ განიხილავდა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოსამართლის ქმედება შესაბამისობაშია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლი მე-4 ნაწილთან, რადგან საკითხი შეეხებოდა არასრულწლოვნის მიერ ჩვენების მიცემას. მოსამართლე მოქმედებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ფარგლებში. სხდომის მსვლელობის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებით, მშვიდი გარემო შეექმნა არასრულწლოვნისათვის გულწრფელი ჩვენების მისაღებად.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწმის დაკითხვის საკითხის გადაწყვეტის კანონიერების საკითხი ზემდგომი ინსტანციის განსახილველია, რადგან თავისი არსით არ ქმნის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას.

რაც შეეხება ოქმის გადაცემასა და საქმის მასალების გაცნობის საკითხს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ -- -- სასამართლოს სხდომის ოქმების გადაცემის მოთხოვნით -- -- წარმომადგენელმა მიმართა 2020 წლის 30 სექტემბერს, ხოლო საქმის მასალების გაცნობის თაობაზე შუამდგომლობით საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა 1 ოქტომბერს.

მესამე პირის -- -- წარმომადგენლის ხელწერილის თანახმად, მას -- -- სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის, 29 სექტემბრისა და 30 სექტემბრის სხდომის ოქმები ჩაბარდა. ხელწერილზე მხარის მიერ გაკეთებული შენიშვნის თანახმად მას არ ჩაბარებია დახურული სხდომის ოქმის ასლი. 2020 წლის 2 ოქტომბერს მხარის მიერ გაკეთებული ხელწერილის თანახმად, სასურველი მასალების ასლები გადაიღო, თუმცა არ გაცნობია 177-178-ე გვერდებს შორის არსებულ დახურული სხდომის ჩანაწერს.

კანონმდებლობა პირდაპირი დანაწესით, იმპერატიულად არ განსაზღვრავს მხარისათვის დახურული სხდომის გადაცემა/არ გადაცემის საკითხს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საქმის მასალებს რაზე დაყრდნო-ბითაც მათ სააპელაციო საჩივარი უნდა აეგოთ, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი გარემოება რაზე დაყრდნობითაც გამოიტანა მოსამართლემ გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარში მითითებული გარემოებებით არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის დარღვევის ნიშნები, რადგან ქმედებები არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის შემადგენლობას.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სახის საპროცესო ნორმის დარღვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ დისციპლინურ გადაცდომად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის ქმედებები შესაძლოა არ შეესაბამებოდნენ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თუმცა თავისი არსით არ წარმოადგენდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომას. შესაბამისად, ყოველი საპროცესო ნორმის დარღვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, რადგანაც ის მსჯელობს მხოლოდ მოსამართლეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებზე დისციპლინური გადაცდომის კუთხით.

დამატებით გასათვალისწინებელია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან/და გამოყენება, რასაც საფუძვლად უდევს მისი შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №113/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი